კვირა, 29 ივნისი 1914 წ. ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათრახი

№ 23 იუმორისტ. ჟურნალი

„მათრახი“ გამოდის კვირაში ერთხელ. წლიურად ღირს გაგზავნით 2—50. ნახე-არი წლით 1—50. წერილები და ფული გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Тифлисъ, Типографія „Шрома“, Теофилу Болквадзе.

იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ჟურნალი არ მიდის, მსურველთ გაეგზავნება გასასყიდათ ფოსტით რამდენსაც მოითხოვს. თითო ცალი დაეთმობა $3^1/_2$ კაპეიკათ. ფულის გამოგზავნა წინ და წინ არის საჭირო.



„ნობათი“ ბაქოელ გაფიცულ მუშებს „მათრახის“ რედაქციის მიერ წარგზავნილი.

## ბაქოსაკენ

ბაქოსკენ უნდა წავიდე
მთელი არმია ჯარითა,
მუშები გაფიცულანო
გულზე გამხეთქეს ჯავრითა!..

წავალ და ყველას დავცოცხავ
ჩემის მათრახის ტარითა,
მრეწველნი დამაჯილდოებს
ურიცხვი საჩუქარითა.

ცხოვრებას გამოვიბრუნებ,
ჯიბეს გავიმსებ ფარითა,
მეგობრებს წავაქეიფებ—
მოვილხენ ზურნა-თარითა.
დავსტკბები „მამულიშვილთა“
ნახვით და საუბარითა,
მამებიც არ მომაკლებენ
ლოცვა-კურთხევას ჯვარითა.

—

განა მე კუჭი არა მაქვს
როგორც სხვა რენეგატებსა?!
თუ კი მუდამ აქვთ საკენკი
ზოგ-ზოგ უტვინო ბატებსა,
მეც იმათ გვერდში დავდგები
ზურგს ვაქცევ ძველსა ხატებსა!
(სინდისი თუ არ მექნება
სახრავი მოიმატებსა).

შტრეიკბეხერებ მუშებსა
მოვნახავ ყოველ მხარესა
და პატიოსან მშრომელებს
დღეს გაუთენებ მწარესა,
მტრისა ბანაკში გადავალ
ვილოცავ იმათ მთვარესა,
ჩემსა ძველ ამხანაგებსა
დავტიებ მგლოვიარესა!..

—

ბაქოსკენ მივალ, ბაქოსკენ
მუშების გასასრესათა,
კაპიტალისტთა ურჩებსა
მადას შეუცვლი კვნესათა,
რწმენას გავყიდი ქანქარში
ღვარძლისა დასათესათა!
(ამით სახელსაც მოვიხვეჭ,
ეხლა იგრეა წესათა!)

მათრახოსანი.

## ედემს.

ედემო, ყველგან შენი მშვენება,
შენი სახელი არის განთქმული,
შენსკენ მოვილტვი, შენს ნახვას ველი
და შენთვის მიძგერს მე მუდამ გული.

როდის იქნება იხილონ თვალთა,
შენი წალკოტი და მყუდროება,
იქ სად არ არის კაცთ ბოროტება,
არის სიმშვიდე და სათნოება.

იქ სად არ არის ძმათა გაყვლეფა,
სად ვერ ბოგინობს ბოროტი სული,
სად ტახტი უდგა ძმობას, სიყვარულს
და აღარ კვნესის მოძმე ჩაგრული.

იქ სადაც ხალხი თანასწორია
და ძმათა შორის სიყვარულია,
იქ სად ამაყად ჭეშმარიტების
უძლევი დროშა ამართულია!

ედემო, ყველგან შენი მშვენება,
შენი სახელი არის გათნქმული
შენსკენ მოვილტვი, შენს ნახვას ველი
და შენთვის მიძგერს მე მუდამ გული.

**გოგია.**

## კრიტიკული შენიშვნები.

(გაგრძელება. იხ. „მათრახი“ № 2)

### III

წინა წერილში ჩვენ აღვძარით ფრიად დიდი საკითხი: „საქმლით გატენილი კუჭი და ის დიადი ცვლილება, რომელსაც ასეთი კუჭი ახდენს კერძოდ პოეტების და საზოგადოთ ადამიანთა ცხოვრებაზე“. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა საკითხი მართლაც რომ ძლიერ რთული, ღრმა და მრავალ მნიშვნელოვანია, ამიტომ ასეთი კითხვის გადასაწყვეტად დიდი ნიჭი და გამოცდილება არის საჭირო და თუ მე ვერ შევსძელი მისი ყოველ მხრით გაშუქება, იმედია მკითხველი საზოგადოება ან იწყენს. თითქოს ერთის შეხედვით „კუჭი“ უბრალო რამ საგანი არის, ის აქვს ყველას, მისი დანიშნულება შიგ ჩაგზავნილი საჭმელი დაფქვას და მთელ სხეულში დაანაწილოს. მაგრამ თუ მას შევხედავთ ღრმა ფილოსოფიურ თვალსაზრისით, გამოვიკვლევთ მის საზოგადოებრივ—პოლიტიკურ—ნაციონალურ მნიშვნელობას, ადვილათ გავიგებთ რომ კუჭი არც ისე უბრალო რამე ნივთია, როგორც ჩვენ გვეგონა. მას ფრიად დიდი გავლენა აქვს როგორც რწმენაზე, ისე მთელ გრძნობა-გონებაზე, მის გავლენას განიცდიან არა მარტო პოეტები, ფილოსოფოსები, კრიტიკოსები, ლექტორები, პუბლიცისტები, დრამატურგები, ბელეტრისტები და ყველა ისინი, რომლებიც საზოგადო საქმეში ერევიან. ამ მხრით მეტის-მეტად გავლენიანი გახლავთ „საზღვარ გარეთ გაგზავნილი კუჭი“. კუჭი რომელიც საქართველოს საზღვრებს გასცდება საზღვარ-გარეთ გავა და იქ რამდენიმე ხანს დაჰყოფს, ერთის დაკვრით დიად ცვლილებას ახდენს ძალიან მაგარ და ღრმა რწმენით გამსჭვალულ ადამიანზედაც კი. ავიღოთ მაგალითისთვის „კუჭი“ ფილოსოფოსისა, რომელიც საზღვარ-გარეთ წავიდა და იქ კარგა ხანს იდო. ამ კუჭის გავლენა გასაშტერებელია. ფილოსოფოსის ორგანიზმი მან სრულიად გამოსცვალა, მას ფილოსოფიურ თავში დიდი არევ-დარევა მოახდინა, ფრიად განვითარებულ, ნიჭიერ, მაგარი რწმენის ადამიანის მაგიერ, უბრალო ვაჭარი დაუბრუნა სამშობლოს. დიახაც რომ ეს დიდი დანაკლისია ჩვენთვის, მით უმეტეს რომ ეს „ფილოსოფოსი კუჭი“ დღესაც აღარ ისვენებს და ნელ-ნელა მიათრევს თავის პატრონს, მას უნდა ის მაღაზიის კარებს აღარ გასცდეს და საზოგადო ასპარეზიდან სრულიად გავიდეს.

ავიღოთ ეხლა „კუჭი კრიტიკოსი“ ბელგიაში მდებარე. თუმცა პატრონი ამა კუჭისა არც სამშობლოში ყოფილა გარკვეული მიმართულების ადამიანი, ხშირად ცვალებდობას განიცდიდა, მაგრამ გასცდა თუ არა კავკასიის საზღვრებს კუჭმა თავისი ქნა. „კრიტიკოსი კუჭი“ თავის პატრონის პირით ბელგიიდან უვშერ ლანძღვაგინებას გზავნის საქართველოში, ლანძღავს „სამშობლოს მოღალატეებს“. ძლიერი ლანძღვა-გინება მაშინ წარმოიგზავნება, როცა საქართველოდან ქანქარი მიდის და კუჭი მოღონიერდება.

ასეთივე გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის ჰავამ იქ გასულ რამდენიმე „კუჭზე“.

მაგრამ ამ ბოლოს გამოირკვა, რომ მარტო საზღვარ-გარეთ არ ხდება ასეთი ამბები. შესაძლებელია კავკასიის საზღვრებიდან გავიდეს კუჭი, რუსეთის რამდენიმე ქალაქში შეიაროს და სრულიად გააგიჟოს პატრონი. მაგალითისათვის ავღოთ ბ-ნი „კუჭი - თევდორე“, რომელმაც ინახულა ბაქო, მოსკოვი და პეტერბურგი, ეხლახან დაბრუნდა სამშობლოში და მედგრად შეუდგა ქართველთა ერის აღორძინებას.

ამგვარად ზემოდ მოყვანილ მაგალითებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ ფილოსოფოს-კრიტიკოს--ლექტორების „კუჭი“ მხოლოდ მაშინ ახდენს გავლენას, როცა ის საქართველოდან გადის. სულ სხვაა „კუჭი“ პოეტისა და კუჭი ბელეტრისტისა. მათთვის სრულიად საჭირო არ არის საქართველოდან დაძვრა. ის აქვე ახდენს იმ ცვლილებას, რომელსაც ფილოსოფოს-კრიტიკოსები საზღვარ-გარედ განიცდიან.

ავიღოთ „კუჭი“ პოეტისა, რომელიც დრო და გარემოების წყალობით უსამართლობის გამო მისუსტებულია და საკმარისად ვერ არის გატენილი. ასეთ მდგომარეობაში ის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს თავის პატრონის თავზე ამ თავში მრავალი კარგი აზრები ირევიან. მთელი ორგანიზმი გარკვეულ მიმართულებას ადგია და მომავლის იმედებით გატაცებული იმედის ცეცხლს აკვესებს თავის ლექსებით ჩაგრულთა გულში.

გადის დრო „კუჭი“ თფილისის სათავად-აზნაურო ბანკში ჯდება, იქაური დახშული ჰაერი, ყოფილი მაზრის უფროსები, ბოქაულები, „სტრაჟნიკები“ და ყოფილი სოციალისტები მაზე გავლენას ახდენენ, კუჭი თან-და-თან იტენება და ითრევს ორგანიზმს რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერი შეცვლილია, პოეტური ჩანგი სულ სხვა გვარად კრიმანჭულობს.

აი ის ღრმა აზრი, რომელიც ჩამარხულია პროვინციელ პოეტ რეალისტ ბურხლაძის ლექსში.

(შემდეგი იქნება)

ირეთელი.

---

# გურული სცენა

## I

### ქალის გათხოვება.

გადამკიდებია ბატონო ჩემი ცოლი და მეჩხუბება. გინდა თუ არა ქალი ამ ხნილში უნდა გაათხუოვო. რა ყშმაკით და ქაჯით გაათხუეო იმას კი არ კითხულობს. გლახას ვერ მივსცემ და თუ ვინმე ხეირიანია და ქალის შენახვა შეუძლია იმას ამისთანა „ტაკცია“ დოუდვია; ოც-და ათი თუმანი ფული, ამდენი კიდომ გვზითი უნდა მომცე, თვარა ისე შენს ქალს არ შევირთაო. ˚კაი და პატიოსანი მარა სადაა აი ოცდა-ათი თუმანი ნეტაი? სახლ-კარიახ·ძროხიანა, რომ გავყიდო ყორიფელი ოცდა-ათ თუმანს მაინც არა კაცი არ მომცემს რა ვქნა სეით წევიდე, რომ არ ვიცი? არა ბიძია არა, მაგ ქკუით არც მიარია და არც ვიარ, მეც-კი შევირთე ცოლი, მარა ოც-და-ათი თუმანი არე კაცს არ მოუცია ჩემდა. თუ ვინმეს უნდა ქე წეიყვანოს ისე თუ არა და ჩემი ბალანე ქე იყოს ჩემს სახლში, ერთ ლუკმა ჭადს კი ვაჭამ თუ არ მოვკვდი. გიტოია გლახას დოუპრაწავს თვალები და ჩიკა: „ვოჩ თუმან ნაკლებ ჩოლშ არ შევირთავო“. ოცჯერ დაგლახდა მისი თავი, იმან პირ აქეთ, რომ მომცეს ფული, მაინც არ ჩამოუშობ ეზოში. ანდა რათ უნდა ამისთანა გლახას ცოლი, ვოცდა-აი იგზო?ა ?ეჯმა ძაღლმა ყანაში სადილი. იმ დღეს ბატონო ათი წლის ყაზირალს მუ·უტყუებია. დაეკავებია თოფი ხელში და ვითამ ნადირობს მისი ჭკუით. დეინახა თურმე ბალანამ და დოუძახა: გიტოია! არიქა აგერ წისქვილის წყალში იხვებია, მოდი და მოკალიო. მიეპარა თურმე აგი ჩვენი მონადირე ესროლა თოფი და ზედ ააჭარფალა საწყალი ფოტინეს სამი იხვი. კაცმა შინაური და გარეული იხვი ვერ იცნოს? მოდი და მიეცი ახლა ამისთანა კაცს ქალი.

რ. ჯიბილ.

## II

### ცუდი წელიწადი.

დამიცვას ღმერთმა რაფერი კვიმატი წელიწადია, წროულს ქუთაისლებმა ოზურგეთის ნაჩალნიკი ზე აგვატლიკეს, აქედან მუუშვა და მუშვა ყოველ დღე თხრიშანაი, ყანები სანახევროდ ძირყულამ აგვიცუცქა და რომელიცხაი დაგვრჩა ტყულათაი ღოხი არ ჩაგვიტანია· ისე მოიჯელთა ისე რომე ბედაური ვერ გაატანს შით. ჩვენდა ხომ რაცხა არის არის და ყველაზე საბრძნელი წელიწადი ხუცებიზაა. ჯერე და ფოთელ დეკანოზს არ წაადგა ლავრენტის ქომაგობა, ხულიგანი ესიკაის და საჩინოის ხელმოსაწერათ შუკა-შუკა დრიგინი, მაინც სდრინგეს პადური და ჰაი და ჰა. მახარაძეს ნახუტურში უბრძგეს. იქაური თვალჭაჭუნა გაშტიქინებული ხუცესი იქით მიაქეცელეს, მარა აგი კიდო აფერი. კკაჭაძე ხუცეს არესტანტი როტა და გითი. ჩხაიძე ხუცეს თავის გათორთქოლება. ვინცხა გადაღმართელს კიდო კატორდა, კიდო ვინცხა აკეთელ ხუცეს ქალმა მუახტა თურმე ზურგზე და ძლა მტვერი აადინა და მე რა ვიცი ასი რაცხა.

ღმერთო მშვიდობით აცოცხლე დანარჩენებიც, მარა რაცხა ისე უუცა ქვეყანას ფარცაგი არ ჩამოგვიარს მგონია.

შხანკოლა.

---

## რასაც მოგითხრობთ უეჭველია.

(ვუძღვნი დიდი-ჯიხაიშლებს.)

როს ნახოთ ხალხში მღვდელი ჩამდგარი
ხელ-აშვერილი სიტყვის მთქმელია
არც დაფიქრდებით ისე გაიგებთ
სამსონ იქნება უეჭველია.

ნახოთ ქუჩაში კაკარდოსანი
ბაგეთგან თვისთა ცეცხლის მყრელია,
არ შეგეშინოთ თქვენ ამ დევ-გმირის,
დავით იქნება უეჭველია!

აგერ დუქნის წინ ჭაღარა რომ სდგას
ვფიქრობ ეს არის ქვეყნის მხსნელია...
ფუი მაცდურსა! კინაღამ შევცდი,
მანუჩარია უეჭველია!

თუ ნახოთ ბანკში კრება ბელადთა,
რომლებიც კარგის დამგმობელია,
არ შეგეფიქროთ, დარწმუნდით რომა
სამნივ იქნება უეჭველია!

ერთი მღვდლის აზრებს ვიღაც ქადაგებს,
სახალხო სახლი ხალხის მრყვნელია,
ვინ უნდა იყოს? თქვენ როგორ ფიქრობთ?
კოხრეიძეა უეჭველია!

ესენი ჯიბეს უფრო უცქერენ,
ხალხს ტყავს აძრობენ უეჭველია,
დროზე მიხედეთ, ხალხნო, სამთავეს
ესენი თქვენი დამღუპველია.

აგერ ქსენონში, კარს უკან რომ სდგას,
რას უდარაჯებს, რისა მქნელია?
ნუ თუ გაღლეტილ და მატყუარა
ეს, კომიტეტის არის წევრია!?

სასინჯ ოთახში ქალს უჭვრიტინებს,
აბა ვნახოთ, თუ შიშველია...
რომელი იცნობთ? ვინ უნდა იყოს?
ერისტო არის უეჭველია!

აგერ ხალხში დგას ვიღაც თეთრწვერა,
კომიტეტს აქებს, ეს რომელია?
ერისტოს მამა, კინაღამ დამრჩა,
ივლიანეა უეჭველია!

მღვდელ-გერასიმეც მათი მონაა,
შიშობს არ შეხვდეს მას სასჯელია...
რომ მათ სურვილზე მალაყს გადადის,
დღეს ჩვენთვის ესეც უეჭველია!

№ 101.

---

## ძლვნად ზოგიერთ ნოქრებს.

(თბილისისათვის).

მინდა ზოგიერთ ნოქრებსა
რომ უთხრა საყვედურია,
თავისი შეუგნებლობით
არიან უბედურია.

სულიერ საზრდოს არ სწყალობს
რა შეედრება ღვინოსა?
როცა ჯამაგირს აიღებს,
მუდამ სალამოს ლხინობსა.

მეტია მათთვის თეატრი,
ლექცია, გაზეთებიო,
ქიდაოზას, რომ შესტრფიან
ბევრია ასეთებიო.
კანონი აძლევს ორ საათს
პურის საჭმელად დროსაო,
ან ჭამოს, ან დაისვენოს,
თუ უნდა იძინოსაო.
ორი საათის მაგივრად
მხოლოდ ოც წუთსა კმარობენ,
რომ ალას გული მოუგონ
ასეთ ხრიკებსა ხმარობენ.
ხაზეინებსაც ეს უნდათ
არ იწუხებენ თავსაო,
ყურ-მოჭრილ-მონა ნოქრებს
ზურგზე აძრობენ ტყავსაო.

ზენათობა.



## ორი ეშმაკი.

**პირ. ეშმაკი.**
(ძლიერ განრისხებული შეაჩერებს მეორეს)
გაგისკდა თავი
დაგეცა მეხი,
ამოგძვრა სული
გაჭიმე ფეხი-
სად დაიკარგე?
რათ მომიძულე
ამდენი ხანი
არ მინახულე?
**მეორე ეშმაკი.** (ისიც გაჯავრებული)
რას იწყევლები
შე უხეირო,
ცხვირ მონგრეულო,
მუტრუკო, ვირო?
მე შენ დაგეძებ,
მაგრამ ვერ გნახე,
ვერსად ქუჩაში
ვერ დაგინახე.
**პირ. ეშმაკი.** (აჟერსით)
უბედურება შემემთხვა ძმაო
ძლივს შევირჩინე ტანჯული სული,
უექველია ფეხს გავჭიმავდი
რომ არ მქონოდა ჯიბეში ფული.
**მეორე ეშ.** (გულმტკივნეულად)
რას ამბობ, კაცო, ჩქარა მითხარი
რამ აგიბნია ასე დავთარი?
**პირვ. ეშმ.**
ერთ დღეს ქართული თეატრის წინა
ჩემთვის ვიდექი ჩაფიქრებული,
რას ვფიქრებდი თუ იქვე იყვნენ
მსახიობები ჩასაფრებული.
აქეთ იქიდან ჩამჭიდეს ხელი
და ჩამათრიეს იქვე „პადვალში“.
ისე დამათვრეს წითელი ღვინით
აღარ მიჩანდა არავინ თვალში.
მას აქეთია სულ ყელი მტკივა
ხან შემახურებს და ხანა მცივა.
**მეორე ეშმ.** (დიდ-ხანს იცინის)
სასაცილოა შენი ამბავი
ღვინომ როგორა გაკტინა ყელი,
ღვინოს რაღა სჯობს წითლად შე-
ფერილს
როცა თან ახლავს პური და ყველი.
მადლობა ქვესკნელს გადარჩენილხარ
დამუნჯებული არ დარჩენილხარ.
**პირვ. ეშმ.** აბა ახლი რამე მითხარი
თუ მოხდა რამე ამ ცოტა ხანში.
**მეორე ეშმ.**
ჯერ „პადვლისკენ“ ჩავისეირნოთ
ვსჭამოთ მსუქანი ნივრითა ხაში,
**პირვ. ეშმ.**
თუ გიყვარდე ჩქარა მითხარ
რიც ამბავი იცი ყველა.
**მეორე ეშმ.**
ერთათ რომ ვსთქვა სიცილისგან
აგიტყდება მძიმე ხველა.
ჯერ დავწაყრდეთ, თან გადავკრათ,
შემდეგ „ლახტი“ ვინახულოთ
და მისი კუდა მწერლები
მათრახებით შევახუროთ.
(შემდეგი იქნება).

მესამე ეშმაკი.

## გამოცანა.
([illegible])

გამოცანას მოგახსენებთ
გამოსაცნობს ადვილსაო
ორფეხა ცხოველი არის
შობილია ავდლისაო
„ნასალდათარ ნასტრაჟალი“
დღეს ამრევი სოფლისაო
თვის თვალში დირეს ვერ ამჩნევს
ბეწვის მძებნელი სხვისაო.
ტრაბახობა მეტი უყვარს
საქმე კი ნაკლებიაო
ამ ბოლო დროს ცოტა ხალხსა
გული შეაკლებიაო:
აირჩიეს და მიანდვეს
წყალზე ხიდის გაკეთება
რაც რომ „სმეტა“ შეადგინეს
ნახევარი არ ხმარდება.
ამბობენ რომ მან იჯიბა
ის და ცოტა მეტიცაო
ამდენ ნაჭირნახულევი
იმავე დღეს ჩაიქცაო!
ძალით კაცის გაკაცება
არ ყოფილა ადვილიო
თუ მკითხველო გამიცან
ამისრულდა წადილიო.

დ. ბარამიძე

## დეპეშები.

**გურია.** დაიწყო პარკის ვაჭრობა. მყიდველები რიცხვით ბევრათ უფრო სჭარბობენ გამყიდველებს. საზოგადოთ პარკი ყველგან ძლიერ კარგი აქეთეს, მაგრამ ერთი უცნაური თვისება გამოაჩნდა: წამოიღებენ თუ არა სოფლიდან სახლში გამოზომილს და აწონილს მყიდველთან მიტანამდე გზაში 33 გირვანქა სიმძიმე აკლდება ფუთს. ეს აშკარა ხდება, როცა პარკი მყიდველის სასწორზეა დადებული. ამ ამბის გამო გამყიდველები გაიფიცენ და მოითხოვენ მყიდველები სახლებში მივიდენ გამყიდველებთან და იქიდან წაიღონ პარკი.

გარგანა.

(არა მკითხეს სააგენტოსაგან).

**ს. ჩიბათი.** არ გამართლდა ის ხმები ვითომ, წერალს მამასახლისი წაებერტყოს.

არც ის არის მართალი ვითომც გომახურის ვაჭრუკანებს მომხმარებელი საერთო დუქნის მოახლოებით შიშის ქარები აძვრომდენ. უბრალო მოდის ციება. სჭირთ მხოლოდ, გადატანა კი ექიმებმა საექვოთ ჩასთვალეს.

სამკითხველოს გამგეობას შემდეგი სიზმარი უნახავს. ვითომ ყველა ჟურნალ-გაზეთები გამოეწეროთ, ვითომ გაბნეულ წიგნებიზა თავი მოეყარონ და ვითომ ჟურნალი „მათრახი“-ც შიგ შეპაროდენ. ამის გამ... შთაგონებაში შთავარდნილან.

## გამოჩენილი ქურდი—აფერისტი

ამ დღეებში გერმანიის მაძებარმა პოლიციამ დიდის დევნის შემდეგ როგორც იქნა დაიჭირა გამოჩენილი ქურდი—აფერისტი გელმერი.

გელმერის ხელობა იყო მდიდარ სასტუმროებში და სწრაფ მატარებლებში ქურდობა. ამისთვის ის არავითარ საშვალებას არ ზოგავდა. სადაც როგორ მოუხდებოდა ისე იქცეოდა და არავის ეჭვი არ შესდიოდა, რომ მდიდარ და პატიოსან კაცთ.ნ ჰქონდა საქმე. უფრო ხშირად გელმერი ქალის მდიდარ ტანსაცმელში ეწყობოდა, რომ გაეცნო ვინმე მდიდარი. დაეწყო არშიყობა და ბოლოს გაეძარცვა. ყველა ამას ის ძლიერ ოსტატურად ასრულებდა. ხშირად შედიოდა ის მატარებლის კუპეში, სადაც მარტო ქალები იყვენ, გაუბამდა ლაპარაკს, ამ ლაპარაკში რაც ხელსაყრელი იყო აიცინცლავდა და არხეინად გაუდგებოდა გზას.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ძალიან კარგათ იცოდა მისი ნიშნები, ჰქონდა სურათი, მას ყველგან დაეძებდენ, გელმერი მაინც არხეინად იყო და განაგრძობდა თავის საქმეს. არ მომხდარა ისეთი რამ, რომ გელმერს გაჭივრებიდან ვერ დაეხწია თავი.

ბოლოს როგორც იქნა გერმანიის პოლიციამ მოახერხა გელმერის ხელში ჩაგდება. გერმანიის გამოჩენილმა „მაძებარმა“ (სიშჩიკი) დუშეკმა თვალი შეავლო გელმერს, როცა ის ქალის ტანისამოსში მორთული მატარებელში ჯდებოდა. დუშეკი გაჰყვა მას და თვალს არ აშორებდა. უცბად მან შეამჩნია, რომ გელმერი ოქროს ძეწკვს აჭრის მის გვერდით მჯდომ ქალს. დუშეკი უცბად მივარდა სწვდა



ქოჩორში და პარიკი აагლიჯა იქ მსხდომ ქალებს კინაღამ გული შეუწუხდათ, როცა ქალის მაგიერ კაცი აღმოჩნდა. გელმერმა რაკი შეატყო რომ თავის დახწევა შეუძლებელი იყო დანებდა.



## მესტვირული

I

(სამტრედიისათვის)

შენ ჩემო გუდგუნავ დაუკარ
დაუღიღინე ნელაო
კარდაკარ დავყვეთ ნაცნობებს
და ვინახულოთ ყველაო:

დიდი ხანია გველიან
სიჩუმე აწი კმარაო,
თორემ იტყვიან რიჟაი
წავიდა გაიპარაო

ჯერ ვინახულოთ ნიკოლოზ
შარაბიძისა ძმობილი,
მისი ჯიბისა ნუგეშად
მოწოდებული, ხმობილი.

უთხრათ შკოლისა მამაი,
არ უნდა გაიძვერაო,
ნორჩი თაობის ორგულმა
ხალხი სულ გადიმტერაო.

იგი რაც სხვაგან უქნია
ნიკოს აქ აღარ არგია,
თორემ ღმერთმანი სულ მალე
უნდა აიკრას ბარგია.

მერე ვესტუმროთ რაჟდენსა
სამტრედიისა დოსტაქარს,
შევიტყოთ რაზე ვერ უვლის
სამკითხველოსა ის ქანქარს.

თავის ქება კატრათა ღირს
საქვეყნოთ ეს ნათქვამია,
პირი რად ეწვის ნეტაი
პილპილი თვარ უჭამია?

კონდუკტორების უფროსსაც
მოუღიღინოთ ნელაო,
ქრთამეზსა თუ ჰკრებს სევცი
ასე იქცევა ყველაო.

მას რა აწუხებს რა უნდა
ნეტა რაზედა სტირისო,
ასე რამ გაათამამა
არ ეშინა სტვიროსო?

დაუღიღინე ქამანჩავ
შენი ჰირიმე შენიო,
ნაცვალოვი და ბესოი
ქვეყნისა ამაშენიო,

კვლავ ვინახულოთ ერთხელა
და ვანუგეშოთ ჩვენაო,
მოლვაწეები მისთანა
ღმერთმა კი შეაჩვენაო.

უნდობლობაი მათ უკვე
გამოუცხადა ხალხმაო,
ლადო რათ ჯავრობ ან ბეროს
რად დაულია ხახაო.

ეხლა სჯობია გავჩუმდეთ
ჰირიმე სტვირო შენიო,
სხვებსა შემდეგში ვეახლოთ
არ დაგვრჩეს გულ-ნატკენიო.

რ.

II

ლექსები და შაირები
ეხლა მომადგა პირსაო,
უნდა ვიწყო სიარული,
ხელში ავიღებ სტვირსაო
და მკითხველებს მოვახსენებ
სოფლათ ვის რა უჭირსაო.
ზესო-ჩიბათში ავედი,
დავიარე სახლი ყველა,
შავრაზმელები ტირიან,
დამართნია ერთი ბელა:
მათი კერპი, მათი ღმერთი
ილიკუნა ჭანტურია,
ჩიბათიდან დაითხოვეს
და ამოკრეს პანღურია.
ეს ის არის, ვინც „მათრახ“-ში
წინეთ იყო შექებული,
გასპარიანცის შეგირდი
უსინდისო ფლიდი სული;
ვინც რომ ხალხი შეაწუხა
ჩაიდინა საქმე ქველი,
მეზობლები გადაჰკიდა
აქოთა მთლა სოფელი.
სულ გამოჩნდა, რაც უქნია
საზიზღარი საქმე ყველა,
პაღურის რტყმით მიაბრძანეს,
გაუჩინეს ბრაზი-ხველა.
მირბის, მირბის, უკან მისდევს
შავი ძაღლა, შავი ჯარი,
ხალხი ყვირის: არ გაუშვათ,
დაუშინეთ თავში სარი.
ამ ნაირათ გაისტუმრეს
ეს ბოროტი, საზიზღარი,
ხალხის ძალამ გაიმარჯვა,
ქეიფობა დიდი არი.

**კვინდღი.**

---

# ღიღინი

**დიმიტრი ალმასხანიჩისა**

(ქვედა-ძიმითისათვის.)

მიკვირს აქამდე რომ ჩემზე
არვინ ამღერა სტვირია,
განა სხვა ვინმე მჯობია
ვერ შევირცხვინე ცხვირია?
როცა ძალ-ღონე შემწევდა
ვიყავ ყაჩაღთა გზირია,
დამტოვეს გაულექსავი
ეს დიაზ გასაკვირია.
ისევ მე დავაღიღინებ
აჰა დავაღე პირია:
სამოცდა-ათი წლისა ვარ
ახმახი მოკაკულია,
ყმაწვილებს მაინც კი ვჯობვარ
ნუ წამიწყდება სულია,
მუშტი და კრივი ყვირილი
ხომ ჩემი გამოთქმულია,
ასე ვატარე ოთხამდე
ვასრულე განზრახულია,
ხალხი ვატყუე ოინით
მით შევიძინე ფულია.
ოთხში ხმა მესმა ერთობის
იმან დამიფსო ყურია,
მას მერე ჩემი ცხოვრება
გაფუჭდა უგემურია.
გული მაინც გავიმაგრე
შეგნებულებს დავემტერე,
მათი სახელი და გვარი
ისიდორეს ჩაუწერე.
სულ ყველა გადაასახლა
მოძრაობა შევაჩერე.
ა რვიცოდი, თურმე ამით
მთლად ქვეყანა გადვიმტერე.
რომ გამიგეს სიბნელეში
დავძვრებოდი როგორც ქოტი,
გამრისხეს და მითავაზეს
წლინახევრის ბოიკოტი.
სიკვდილიც გადამიწყვიტეს,
მაგრამ რაკი მქონდა ბისტი,
ხელად თავი გადვირჩინე
შევისყიდე ტერორისტი.
მერმედ ხალხი შევირიგე
მეც ერთობას ვიძახოდი,
ისიდორე აღარ მყავდა
ნიკოკისთან დავდიოდი
იმან კრილოვთან გამაცნო
ვუამბობდი რაც ვიცოდი,
მან ერთი ქაღალდი მომცა
მე წაკითხვა არ ვიცოდი,
თურმე ის რომ არ მიეცა
მეც სხვებსავით დავიწოდი,
ჩემს მეზობლებს კარგს არ უქდენ,
მიხაროდა წინ ვცოდი.
როცა დადგა რეაქცია
მოძრაობა დაიქცია,
აღარაფრის მეშინოდა
დავიწყე პროვოკაცია.
ორათ გავყავი ძიმითი
ერთმანეთსა დავამტერე
იმ დროს სკოლებს აშენებდენ
საჩივრებით შევაჩერე.
ქვედა სკოლის შენობაზე
გავაძევე მოკანდრაზე,
უტორგოთ და უპირობოთ
მე დავიწყე, ვიტრაბახე.
ხალხს ზედ მეტი ავაწაპნე
ფულს დაუდგი ჩუმი მახე,
შენობა დავამახინჯე
ვინც წუნი სთქვა ის გავლახე.
მზრუნველათ თავს ვიწოდებდი
ხალხმა აღარ ამირჩია,
ველარც სხვაი დააყენეს,
მე მაინც არ წამიგია.
(შკოლის ოთხასი ქანქარი
მოხერხებით ამიღია).
მაგრამ ახლა კი დავმარცხდი
რომ ძიმითი ვერ გავყავი.
რომ გამეყო ხომ ქვედაში
ვიქნებოდი ბატონ თავი,
ზედა ძიმითლები არის
ჭანგარიშის მომკითხავი,
რაც შევჭამე თუ გადამხდა
ხომ გამძრება ზუგზედ ტყავი.
ველა' ც იმან რა მიშველა
პართენთანაც კი ვიყავი.
ძიმითლებსა აქვს ერთობა
ყველა სკოლებზე სწორათა,
მე ყველა ზიზღით მიყურებს
და მივაჩნივარ ღორათა.
ამხანაგებიც მომშორდენ
სამედონი ვინც იყო,
შემრჩა დიმიტრი ივანიჩ
და თანაშემწე ტიტიკო.

**ქვა-შურდულა.**

---

# სცენის-მოყვარენი

სცენა 1 მოქმედებათ.

(ვუძღვნი ჭიათურის სცენის მოყვარეებს).

(იხ. „მათრახი“ № 22.)

II.

**ვასილი და იასონ.**

**იასონი** (პორფილეს უკანასკნელ სიტყვებს გაიგონებს და პორფილე რომ მობრუნდება გამოსასვლელად, იასონი დაეტაკება მთვრალი და პორფილე ყირამალა გადაყარდება). რაო? რა სთქვი პადვალიო? პადვალი კი არა რესტორანში ვიყავი! არა, რათა სტყუი, შე ვირო შენა?!

**პორფილე.** კი ბატონო, რესტორაცია იყოს, ამიზა მამტერევ მერე?!

შე კაცო, შავი ღვინო იქაც ქეა და აქაც.

**იასონი** (შეუტევს). იმე! კიდო ლაპარაკობ!

**პორფილე** (გავარდება სწრაფად).

**იასონი.** ოჰ, გამარჯობა ვასილ, (ბარბაცებს) ცოტა მთვრალი ვარ, მარა ისე ვითამაშო, რომე მესხიშვილი სულ გავაფასო ..

**ვასილი.** რა უყოთ, შე კაცო, რომ მთვრალი ხარ. შენი ბრალი კი არ არის. წვიმა ყოფილა და ცოტათი დასველებულხარ.

**იასონი.** ხო, ცოტა დავსველდი, მარა მაინც იასონი ვარ.

**ვასილი** (გვერდზედ). აი, ბატონებო, სულ ამ ყოფაში ვარ ამათგან (აიღებს ქუდს და გადის).

### III

**იასონი** შემდეგ **კოლია.**

**იასონი** (ჩაჯდება სავარძელში და თავჩაღუნული მღერის).

საყვარლის საფლავს ვეძებდი
ვერ ვნახე დაკარგულიყო,
გულ ამოსკვნილი ვსტიროდი
სადა ხარ, ჩემო სულიკო...
(ამ დროს შორიდან მოისმის კოლიას სამღერა:) „მხოლოდ შენ ერთს“...

**კოლია.** (მიუახლოვდება იასონს) აა, გამარჯობა იასონ! შენ დღეს როგორღაც კარგ გუნებაზედა ხარ.

**იასონ.** ვარ, მაშ არა ვარ?! რა მიჭირს თუ რუმბებში შავი ღვინო არ გამოილია, მე არაფერი გამიჭირდება, არა კოლია, ხომ კარგია შავი ღვინო?

**კოლია.** არც ოეთრია დასაწუნი, მაგრამ სამაგალითოა, ოხ! რა სამაგალითოა ბარიშნებთან კატაობა... განსაკუთრებით, როცა ცხენს მიაჭენებს, მიჰქროლავს როგორც ჩიტი და შენც როგორც ქორი ისე მიჰფრინამ ჰის უკან.

**იასონი.** ჰო, იგიც კაია როცა შენი ბარიშნა წამოვა ცხენიდან და როგორც კეტი დაერჭობა კისრით ტალახში.

**კოლია.** არა, ჩემო იასონ, ღმერთმა დამიფაროს, რომ ბარიშნა ცხენიდგან გადმომივარდეს... მაშინ ერთ წუთს თავს აღარ ვიკოცხლებ! რას ამბობ კაცო, ხომ დავიღუპე და მომეჭრა თავი გამიტყდა სახელი.

**იასონი.** რას როშავ რა სახელი?

**კოლია.** ბიჭოს, სახელია მაშ რა არის, როცა პიესაში ცენტრალურ როლს თამაშობ?! მთელი საზოგადოების ყურადღება შენსკენაა მოქცეული და, რასაკვირველია, განსაკუთრებით ბარიშნების!

**იასონი.** როცა პატარა როლი გაქვს მაშ ხელს არ გაძლევს, მაშინ არა?

**კოლია.** პატარა როლს თავის დღეში არ ვითამაშებ. მერე ამ კვირაში მაინც... შენ წარმოიდგინე, ექვსი ბარიშნა დავპატიჟე ამ წარმოდგენისთვის! ხუმრობა ხომ არ არის, ახლა უნდა გამოვიჩინო თავი.

**იასონი.** ბიჭო და მერე შენი ჯამაგირი რას ეყოფა ბილეთების ფულს, შენ თუ ყოველ წარმოდგენაზე ექვსი ბარიშნა დაჰპატიჟე?

**კოლია.** ბილეთის ფული რათ მინდა, კონტრამარკები ცოტაა უფასო.

**იასონი.** კარგი, თუ გინდა ერთი კონტრამარკა შენი, ხუთის ბილეთი ხომ უნდა იყიდო?

**კოლია.** კაცო როგორ ლაპარაკობ? განა ცოტაა თავისუფალი სცენის მოყვარეები? ერთს იმას გამოვართმევ, მეორეს სხვას, მესამეს სხვას, მეოთხეს და მეხუთეს—მითომ იმათი ნათესავები შედიან, ხმას ვინ გამცემს, ოღონდ რეჟისორის ხელმოწერილი იყოს.

**იასონი.** ყოჩაღ კოლია, ეგ კაი ხონური გცოდნია!

### IV

**იასონი, კოლია, ვახტანგი** და **მაშიკო**, შემდეგ **ვასილი.**

**ვახტანგი და მაშიკო** აა, გამარჯობათ თქვენი!

**იასონ და კოლია.** გაგიმარჯოთ!

**მაშიკო.** (ვახტანგს) არ გითხარი ჯერ ნუ წავალთ, ყველანი არ იქნებიან მეთქი?! (ამ დროს შემოდის ვასილი).

**ვასილი.** რა არის კაცო, ამდონს რომ მაცდევინებთ? ადრე მოდით, რომ ადრე გავათავოთ რეპეტიცია ის არა სჯობიან?

**კოლია.** მე კაი ხანია აქა ვარ.

**იასონი.** მეც დროზედ მოველი, მაგრამ ის ოხერი ბოთლი ვერ დავცალე იმის ჯავრი ჩამყვა.

**ვახტანგ.** მე ცოტა დავიგვიანე, მაგრამ ჯერ ხომ მაინც არა ვართ ყველა.

**მაშიკო.** я всего на часъ опоздала, მაგრამ მე მაინც არ მინდოდა წამოსვლა, ვიცოდი რომ ყველა არ იქნებოდით.

**ვასილი.** თითო მიზეზი არავის დაგელევათ! კარგი ბატონებო, საქმე დავიწყოთ.

**კოლია.** (ამათ ლაპარაკის დროს კულისებში უკანა პლანზე „ატკოსს“ აჯუდავს და თან ღიღინებს:) „საფლავშიაც აქაც იქაც“...

**ვასილი.** (კოლიას) გეყოფა კოლია ჩხირკედელაობა, საქმე დავიწყოთ.

**კოლია.** (არ უჯერებს ვასილს და კიდევ არახუნებს) შენთან ერთად, შენთან ერთად

**ვასილი** (გაჯავრებული) ტფუ შეგარცხვინოს ღმერთმა.

**კოლია.** (დააგდებს ჩაქუჩს და მოფერებით) კარგი, ჩემო ვასილ ნუ ჯავრობ. რა პიესას ვთამაშობთ?

**ვასილი.** (ცოტა ხნის შემდეგ) პიესა ადვილია „ჭკუისა მჭირს“.

**ვახტანგ.** (რომელიც აქნამდის მაშიკოსთან იჯდა დივანზე და თხილს აკნატუნებდა წამოდგება, პირი თხილით გამოტენილი აქვს). როლები როგორ არის განაწილებული?

**მაშიკო.** Да! роли какъ распредѣлены? (თხილს აკნატუნებს).

**ვასილი** როლებზედ მენდეთ ბატონო, შესაფერისად არის განაწილებული.

**კოლია.** მაინც?

**ვასილი.** მაშ წაგიკითხავთ—ყური დაუგდეთ.

(შემდეგი იქნება)

გოგია.

I-88/2
1914



# ხმა დაბა-სოფლებიდან

(სამიქაოს საზოგადოება.)

**ს. მაიდანი.** ასი წლის წინად აქ დაიწყეს ეკკლესიის შენება, მაგრამ შეჩერდენ. ეხლა ისევ გახსენებიათ და საქმეს შეუდგენ, რადგან დამშეულ ხალხს უფრო ადვილათ შეუძლია ფულის გაღება. აქაური ახალგაზდობა ძალიან ეწევა საზოგადო საქმეს ე. ი. კარტ ნარდის თამაშობას.

**ს. სამიქაო.** აქაურებს რომ ჰკითხოთ სამიქაო მაიდანზე წინ არისო გეტყვიან, მაგრამ რა მოსაზრებით ამბობენ ამას არ ვიცი. თუ მაიდანში ეკკლესიის აშენება დაიწყეს და ვერ დაასრულეს სამიქაოში სამაგიეროთ სკოლის შენობის აგება დაიწყეს და ვერ დაასრულეს. თუ მაიდანში იქაური ახალგაზდობა საზოგადო მოღვაწეობით —კარტ-ნარდის თამაშით არის გატაცებული, აქაური ახალგაზდობაც არა ნაკლებ თამაშობს და იღწვის. თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქაურ ეკკლესიაზე ორი მღვდელი არის და წირვის მაგიერ მუდამ ჩხუბობენ, ჩემის აზრით მაიდანი და სამიქაო ერთი მეორეს არ ჩამოუვარდება და ვერც ერთ მათგანს უპირატესობას ვერ მივანიჭებთ.

**ს. გულიხეთი.** არ ვიცი ვინ დაარქვა ამ სოფელს „გულიხეთი“, ხოლო ორი ასოც რომ მიემატებია „ს“ და „ქ“ ნამდვილი შესაფერი სახელი იქნებოდა „გულის ხეთქი“. აგერ რამდენიმე წელიწადია აქაურებმა განიზრახეს სკოლის შენობის აგება, მაგრამ დღემდი არაფერია და ბავშვებს სამი ვერსის სიშორიდან უხდებათ სიარული და ადვილათ მიხვდებით თუ რა გულის ხეთქას განიცდიან ისინი ამ მანძილის გავლის დროს.

**ს. გეზათი.** ყველაფრით კარგ მდგომარეობაში არიან აქაურები, მხოლოდ მასწავლებელი ქალი ვერ ყავთ დინჯი და ეს ფრიად დიდ ცუდ გავლენას ახდენს ბავშვებზე, მათში ძლიერ გავრცელდა „სიცეტე“.

**სანდრო.**

—

**ფოთი.** ღმერთმა ყოველი კუთხე და ამ კუთხის მცხოვრებნი დაიფაროს იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ნახუტურელები იმყოფებიან. ყოველ ცისმარე დღეს რევოლვერების სროლა, ჩხუბი, ცემა და ლანძღვა-გინება ხდება ხან მეუნაგრე მედუქნეს ზელს თავის დუქნის წინ, ხან სომხების ქუჩაზე სერგო იქაურობას აყრუებს. აღარ აქვთ მოსვენება. თუ გვიშველა ამ სიცხემ, თორემ თქვენი მტერია აქედან უნდა ავიბარგოთ. ეხლა საჩქაროდ ვწერ და შემდეგში ვეცდები ბევრი სამათრახო ამბავი გაცნობოთ.

**ბ—ლი.**

—

**დ. ყვირილა.**

ამ დღეებში აქ დაარსდა უმაღლესი კურსები. რის შესახებაც შემდეგი განცხადება გამოაკრეს: „გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ მოკლე ხანში დ. ყვირილაში გაიხსნა ახალი კურსები, სადაც ასწავლიან ტომბოლოზე თამაშობას ე. ი. სიკინჭილაზე. მსურველნი დროით უნდა ჩაეწერონ კურსებზე. მსმენელნ მიიღებიან მხოლოდ 1 ივლისამდე. კურსების თავმჯდომარე პროფესორი ილია მალ ძე. მასწავლებელნი: პლატონ კიკნა—ძე, ზოსიმე ყუფა—ძე, იაკინთე გველ—ნი და გიორგი თორ—ძე.

**ძირმაგარა.**

## წერილები რედაქციას.

### I

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ იუმორისტულ ჟურნალში ამ წერილს.

თქვენი ჟურნალის № 21-ში დასტამბულია „ბელიას“ მიერ ჩემი შეურაცხყოფა, რასაც ღირსად თავი არ მიმაჩნია.

ვსთხოვ ბ-ნ ბელიას დღეიდან თუთხმეტი დღის განმავლობაში გამომყვეს სამედიატორო სამართალში, დანიშნოს თავისი მედიატორები და დამიმტკიცოს თავის ნათქვამი; მე ჩემის მხრით შემედიატორედ ვასახელებ: ირაკლი ჭყონიას და ზეზვა თოთაიშვილს. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები სასამართლოს მივმართო.

ჩოჩხათის საზ. მამასახლისი კ. ებგენიძე.

—

ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ზემოხსენებული „ბელიას“ წერილი ჩოჩხათის მამასახლისის ბ-ნ ებგენიძის მოქმედებას არ ეხება. ის დაწერილია მამასახლის კვაჭაძეზე, რომლის გვარის გამოცხადება არ მოვისურვეთ თავის დროზედ და ბოდიშს მოვითხოვთ თუ მით სხვა პირს მივაყენეთ უსიამოვნება.

„მათრახის“ რედაქცია.

### II.

ბ-ნო რედაქტორ! № 14 ჟურ. „მათრახში“ მოთავსებული წერილის გამო გამოვიწვიე მე ბ. შანთი სამედიატორო სამართალში № 21-ში ის მოითხოვს ჩემგან თუ ვინ მომანდო მე ბ. შანთის გამოწვევა.

ვინაიდან მისი წერილით შეურაცხყო პარკოვის ქუჩის ყველა მცხოვრები და მათ რიცხვში მეც, ამისთვის მოვითხოვ კერძოთ ბ. შანთიდან ან გამომყვეს სამედიატორო სამართალში ან უკან წაიღოს თავის სიტყვები.

ვასილ გეორგევიჩ ჯარაბაძე.

## „მათრახი“-ს ფოსტა.

ქ ი ა თ უ რ ა. — წყალ-ფეინას პირელს. დაუყოვნებლივ გვაცნობეთ ვინა ბრძანდებით. სანამ თქვენ ვინაობას არ შეგვატყობინებთ ისე ვერაფერს დაგიბეჭდავთ.



**ორ-თავიანი ბავშვი.**

ეს ორ-თავიანი ბავშვი დაებადა ერთ გლეხის ქალს ნოვგოროდის მაზრაში, სოფ. ოსტროვში. საოცარია ბუნება.